

დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა საყურადღებოდ - 2018/2019 სასწავლო წელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 ივლისის №01-05-04/181 დადგენილებისა და სტუ-ის რექტორის 2018 წლის 23 აგვისტოს №01-09-10/158 ბრძანების თანახმად:

- დოქტორანტურაში სწავლების პირველ წელზე ჩარიცხვის მსურველთა საბუთები მიიღება 2018 წლის 12 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით შაბათ-კვირის გარდა შესაბამის ფაკულტეტებზე 10:00 საათიდან 16:00 საათამდე (დანართი 1);
- გამოცდა უცხოურ ენაში ჩატარდება 26 სექტემბერს, 10:00 საათიდან, სტუ-ის საგამოცდო ცენტრში (სტუ-ის I კორპუსი, კოსტავას ქ. 68, I სართული). საპრეტენზიო განცხადებების მიღება იწარმოებს 26 სექტემბრის 14:00 საათიდან 28 სექტემბრის 16:00 საათამდე, მათი განხილვა - 28 სექტემბერს, 16:00 საათიდან. გამოცდების საბოლოო შედეგები გამოცხადდება 28 სექტემბერს;
- გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიებში ჩატარდება 2018 წლის 01 ოქტომბერს 11:00 საათიდან; გასაუბრების შედეგები გამოცხადდება იმავე დღეს. საპრეტენზიო განცხადებების მიღება იწარმოებს 2018 წლის 01 ოქტომბრის 16:00 საათიდან 03 ოქტომბრის 16:00 საათამდე ფაკულტეტებზე. მათი განხილვა – 03 ოქტომბერს, 16:00 საათიდან. საბოლოო შედეგები გამოცხადდება 2018 წლის 03 ოქტომბერს;
- დოქტორანტურაში ჩარიცხვა მოხდება სტუ-ის დოქტორანტურის დებულების შესაბამისად;
- ჩარიცხვის პროცესი დასრულდება 2018 წლის 06 ოქტომბრამდე.

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარსადგენი საბუთების ნუსხა

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს **განცხადება** ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის მითითებით, აგრეთვე შემდეგი საბუთები (ორ - ორ ეგზემპლარად):

1. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);
2. მაგისტრის დიპლომი და მისი ასლი, ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი და მისი ასლი;
3. პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
4. ფოტოსურათი 2 ცალი, ზომით 3 x 4 სმ და CD დისკი;
5. მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულობისთვის).

საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაურთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება მისი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ.

განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში (CV) სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების მითითებისას, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მასალების დედნები და მათი ასლები.

საბუთების პირველადი შემოწმება ხდება ფაკულტეტზე, სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ.

შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომდგენს.

სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ ვიზირებული განცხადება რეგისტრაციისათვის დანარჩენ საბუთებთან ერთად ბარდება სტუ-ს კანცელარიაში.

დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები

დოქტორანტურაში ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობა არის გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

სოციალური მეცნიერებების, მასობრივი კომუნიკაციის, საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბარონ გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოენოვანი პროგრამები) სერტიფიკატების წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვებათ.

თეოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა გაიაროს ტესტირება სტუ-ის საგამოცდო ცენტრში.

ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა ჩააბარონ გამოცდა სტუ-ის ტესტირების ცენტრში ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული).

აგრარული ტექნოლოგიების სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბარონ გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტებს, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

აგრარული ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ უცხოური ენის (ინგლისური ან რუსული) ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან უნდა ჩააბარონ გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვს უცხოენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება და სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

სატყეო საქმის, საგზაო ინჟინერიის, მეცხოველეობის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა ჩააბარონ გამოცდა ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. **სასურსათო ტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე** ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ უცხოური ენის (ინგლისური და რუსული) ცოდნის B2 დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან უნდა ჩააბარონ გამოცდა ინგლისურ და რუსულ ენებში სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტებს, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა საფაკულტეტო დროებით

კომისიასთან გასაუბრების დროს უნდა შესძლონ ერთ-ერთ უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) ტექსტის წაკითხვა და თარგმნა სამხედრო საინჟინრო ან სამხედრო ტექნიკურ დარგში.

მხედველობაში მიიღება აგრეთვე:

- სამაგისტრო ნაშრომის შეფასება;
- სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საბუთები და მასალები (სერტიფიკატი, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დოქტორანტმა სტუ-სთან უნდა გააფორმოს საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებები და ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოადგინოს ერთი წლის სწავლის საფასურის 2250 ლარის მინიმუმ ნახევრის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია.ის პირები, რომლებიც ორი თვის ვადაში არ წარმოადგენენ ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტის დედანს და ასლს (ნაცვლად ცნობისა ან და სხვა) ბრძანება მათი ჩარიცხვის ნაწილში ძალადაკარგულად იქნება ცნობილი.

დანართი 1

საბუთების მიღება იწარმოებს ფაკულტეტებზე:

1. სამშენებლო ფაკულტეტი

2. მ.კოსტავას 68; სტუ-ის I კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 211 ან მე-5 სართული ,ოთახი 545

საკონტაქტო ტელეფონი - 599 17 98 23, 577 588218;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

მ.კოსტავას 77; სტუ-ის V კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 405

საკონტაქტო ტელეფონი - 593 79 00 84;

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

მ.კოსტავას 77; სტუ-ის III კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი 306

საკონტაქტო ტელეფონი - 238 00 50;

4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

მ.კოსტავას 69; სტუ-ის II კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი 202

საკონტაქტო ტელეფონი - 551 31 64 68;

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

მ.კოსტავას 68; სტუ-ის I კორპუსი, მე-7 სართული, ოთახი 707

საკონტაქტო ტელეფონი - 595 95 33 00;

6. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი
მ.კოსტავას 68; სტუ-ის I კორპუსი, C ფლიგელი, მე-5 სართული, ოთახი 503 c
საკონტაქტო ტელეფონი - 577762843, 574443698;

7. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
მ.კოსტავას 77; სტუ-ის VI კორპუსი, A ბლოკი, მე-9 სართული, ოთახი 914 ა
საკონტაქტო ტელეფონი -577799277;

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი
მ.კოსტავას 77 სტუ-ის VI კორპუსი, მე-3 სართული, A ბლოკი, ოთახი 303 ა
საკონტაქტო ტელეფონი - 237 13 19; 599142080;

9. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი
გურამიშვილის გამზ.№17, მე-2 სართული, ოთახი №209
საკონტაქტო ტელეფონი 557737458;

10. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
მ.კოსტავას 77; სტუ-ის VI კორპუსი, A ბლოკი, მე-7 სართული, ოთახი 701ა
საკონტაქტო ტელეფონი - 211. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტი
მ.კოსტავას 77; სტუ-ის VI კორპუსი, მე-8 სართული, A ბლოკი, ოთახი 802
საკონტაქტო ტელეფონი - 599332222, 593911961.

დანართი 2

სადოქტორო პროგრამები და მისანიჭებელი კვალიფიკაციები ფაკულტეტების მიხედვით

I. სამშენებლო ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: მშენებლობა (ინჟინერიის დოქტორი მშენებლობაში);
2. სადოქტორო პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურა და მიწისქვეშა ხელოვნური ნაგებობები (ინჟინერიის დოქტორი);
3. სადოქტორო პროგრამა: სამხედრო ინჟინერია (სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი);
4. სადოქტორო პროგრამა: წყლის ინჟინერია (ქართულენოვანი) (გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების დოქტორი);
5. სადოქტორო პროგრამა: წყლის ინჟინერია (ინგლისურენოვანი) (გარემოს ინჟინერიისა და უსაფრთხოების დოქტორი).

II. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: ტელეკომუნიკაცია (ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი ტელეკომუნიკაციაში);
2. სადოქტორო პროგრამა: ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია (ენერგეტიკის და ელექტროინჟინერიის დოქტორი);
3. სადოქტორო პროგრამა: ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტი (მენეჯმენტის დოქტორი).

III. სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: გეოლოგია (გეოლოგიის დოქტორი);
2. სადოქტორო პროგრამა: სამთო ტექნოლოგიები (ინჟინერიის დოქტორი);
3. სადოქტორო პროგრამა: ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები (სამთო და გეოინჟინერიის დოქტორი);
4. სადოქტორო პროგრამა: უსაფრთხოების ინჟინერია და რისკების შეფასება (ინჟინერიის დოქტორი);
5. სადოქტორო პროგრამა: საინჟინრო გეოდეზია (ინჟინერიის დოქტორი).

IV. ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: ქიმია (ქიმიის დოქტორი); 2. სადოქტორო პროგრამა: ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია (ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის დოქტორი);
3. სადოქტორო პროგრამა: მეტალურგია (ინჟინერიის დოქტორი მეტალურგიაში);
4. სადოქტორო პროგრამა: მასალათმცოდნეობა (ინჟინერიის დოქტორი მასალათმცოდნეობაში).

V. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: მანქანათმცოდნეობა, მანქანათმშენებლობა და საწარმოო ტექნოლოგიური პროცესები (მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის დოქტორი);
2. სადოქტორო პროგრამა: ტრანსპორტი (ინჟინერიის დოქტორი ტრანსპორტში);
3. სადოქტორო პროგრამა: ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტი (ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი);
4. სადოქტორო პროგრამა: საგზაო ინჟინერია (ინჟინერიის დოქტორი).

VI. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: არქიტექტურა (არქიტექტურის დოქტორი);
2. სადოქტორო პროგრამა: არქიტექტურათმცოდნეობა (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი);

VII. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები (საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი).

VIII. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: ინფორმატიკა (ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში);
2. სადოქტორო პროგრამა: მათემატიკა (მათემატიკის დოქტორი);
3. სადოქტორო პროგრამა: საინჟინრო ფიზიკა (დოქტორის აკადემიური ხარისხი საინჟინრო ფიზიკაში);
4. სადოქტორო პროგრამა: მართვის სისტემები, ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი (ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის და მართვის სისტემების დოქტორი);
5. სადოქტორო პროგრამა: ბიოსამედიცინო ინჟინერია (ინგლისურენოვანი) (ინჟინერიის დოქტორი).

IX. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: აგრარული ტექნოლოგიები (აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი

აგრონომიაში);

2. სადოქტორო პროგრამა: სასურსათო ტექნოლოგია (სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი);

3. სადოქტორო პროგრამა: მეცხოველეობა (აგრარ4. სადოქტორო პროგრამა: სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია (აგროინჟინერიის დოქტორი);

5. სადოქტორო პროგრამა: სატყეო საქმე (აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი სატყეო საქმეში);

X. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

1. სადოქტორო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი);

2. სადოქტორო პროგრამა: საჯარო მმართველობა (საჯარო მმართველობის დოქტორი).

XI. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

1. მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა (სოციალური მეცნიერებების დოქტორი მასობრივ კომუნიკაციაში);

2. სადოქტორო პროგრამა: არქეოლოგია (არქეოლოგიის დოქტორი);

3. სადოქტორო პროგრამა: ეკონომიკა (ეკონომიკის დოქტორი);

4. სადოქტორო პროგრამა: თეოლოგია (თეოლოგიის დოქტორი);

5. სადოქტორო პროგრამა: სოციალური მეცნიერებები (სოციალური მეცნიერებების დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს ა.ფრანგიშვილს

_____ განმცხადებლის სახელი, გვარი მისამართი:

_____ პირადი ნომერი: _____

ტელ.: _____ ელ-ფოსტა: _____

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო არჩილ, გთხოვთ, განიხილოთ ჩემი ჩარიცხვის საკითხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

_____ ფაკულტეტის

_____ სადოქტორო პროგრამაზე;

ვადასტურებ, რომ გავეცანი სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებს.

ინფორმირებული ვარ იმის თაობაზე, რომ საჭიროების შემთხვევაში თუ ორი თვის ვადაში დამატებით არ წარმოვადგენ ცნობას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან დიპლომის აღიარების შესახებ ან ცნობას, რითაც დასტურდება ჩემი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ, პრეტენზია არ მექნება სტუ-ში ჩემი ჩარიცხვის ბათილად ცნობის გამო

. პატივისცემით, _____

სახელი, გვარი _____

თარიღი